მოწყობილობის დანიშნულება

მოცემული მოწყობილობა განკუთვნილია მტვრისა და დაბინძურების მოსაცილებლად სხვადასხვა ზედაპირიდან (კაფელი, პარკეტი, რბილი ავეჯი, ხალიჩები და ა.შ.).

უსაფრთხოების ზომები

ტექნიკური უსაფრთხოების წესები

- არ გამოიყენოთ მოწყობილობა შემდეგი მიზნებისთვის:
- მბოლავი ან დამწვარი საგნების შესაგროვებლად, როგორიცაა სიგარეტი, ასანთი ან ფერფლი;
- ფეთქებადსაშიში ან ადვილად აალებადი ნივთიერებების შესაგროვებლად;
- ძალიან წვრილი მტვრის (მაგალითად, ბეტონის) ან ტონერის შესაგროვებლად;
- მყარი ან ბასრი საგნების შესაგროვებლად, როგორიცაა მინის მსხვილი ნამსხვრევები;
- სამშენებლო ნაგვის შესაგროვებლად.

რისკი ბავშვებისთვის

- შეინახეთ მოწყობილობა და მისი შეფუთვა ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. არასწორმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება ან ელექტროშოკი.
- მოცემული მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვების, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, ფიზიოლოგიური ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე, ან გამოცდილებისა და ცოდნის არმქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი აკონტროლებს მათ ქმედებებს ან აძლევს მითითებებს მოწყობილობის სწორად გამოყენების შესახებ.

ელექტროშოკის რისკი

- არ გამოიყენოთ მტვერსასრუტი შენობის გარეთ.
- მოწყობილობის ქსელში ჩართვამდე დარწმუნდით, რომ დოკ-სადგურზე მითითებული ძაბვა შეესაბამება ადგილობრივი ელექტროქსელის ძაბვას.
- არ დატენოთ მოწყობილობა ჭექა-ქუხილის დროს.
- არ ჩაძიროთ მოწყობილობა და დოკ-სადგური წყალში ელექტრონული ბლოკის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.
- არ შეეხოთ მოწყობილობას, დოკ-სადგურს ან შტეფსელს სველი ხელებით.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა მაღალი ტენიანობის მქონე შენობაში. შეინახეთ მოწყობილობა მშრალ ადგილას.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, არ სცადოთ მტვერსასრუტის დამოუკიდებლად შეკეთება. მოწყობილობის (დოკ-სადგურის ჩათვლით) რემონტი უნდა განხორციელდეს ავტორიზებული სერვის ცენტრის სპეციალისტების მიერ.

უსაფრთხოების ზომები გამოყენებისას

- მოწყობილობის ჩართვამდე დარწმუნდით, რომ იგი სწორად არის აწყობილი. ყოველი გამოყენების წინ შეამოწმეთ, რომ ყველა ნაწილი მყარად არის დაფიქსირებული.
- მტვერსასრუტი არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის. იგი განკუთვნილია მხოლოდ საყოფაცხოვრებო პირობებში გამოსაყენებლად.
- რეგულარულად გაწმინდეთ ფილტრი მასში წვრილი მტვრის დაგროვების თავიდან ასაცილებლად. მტვრის ფილტრი სრულად მშრალი უნდა იყოს მის ადგილზე დაყენებამდე.
- არ ჩადოთ უცხო საგნები მტვერსასრუტის ღიობებში/საცმებში და დარწმუნდით, რომ ისინი არაფრითაა დახშული. დაუყოვნებლივ გამორთეთ მოწყობილობა, თუ შემწოვი ღიობი დაიბლოკება.
- არ დატოვოთ ჩართული მოწყობილობა უმეთვალყურეოდ.
- მუშაობის შეწყვეტისას, დასრულებისას ან საცმების შეცვლის წინ სრულად გამორთეთ მოწყობილობა.
- დაიცავით მოწყობილობა დარტყმის, ვარდნის, ვიბრაციისა და სხვა მექანიკური ზემოქმედებისგან.
- არ მიიტანოთ შემწოვი ღიობები სხეულის ღია ნაწილებთან, ტანსაცმელთან ან თმასთან ახლოს.
- არ გამოიყენოთ ის აქსესუარები, რომლებიც არ არის რეკომენდებული მწარმოებლის მიერ.
- მოწყობილობის შიგნით ქაფის მოხვედრისა და მისი შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად, სველი დალაგებისა და თვითწმენდის დროს გამოიყენეთ სპეციალური დაბალქაფიანი სარეცხი ხსნარი მრეცხავი მტვერსასრუტებისთვის ან ჩვეულებრივი სარეცხი საშუალება ანტიქაფის დამატებით.

უსაფრთხოების ზომები გაუმართაობისას

- თქვენი უსაფრთხოებისთვის შეამოწმეთ მოწყობილობა ყოველი გამოყენების წინ. გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში, მოწყობილობის გამოყენება დაუშვებელია კვალიფიციური სპეციალისტის მიერ მის შეკეთებამდე. თუ დოკ-სადგური დაზიანებულია, იგი უნდა შეიცვალოს სპეციალისტის მიერ ჯანმრთელობის შესაძლო ზიანის თავიდან ასაცილებლად.
- დოკ-სადგურის დაზიანების ან გაუმართაობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გამოიღეთ შტეფსელი როზეტიდან. მიმართეთ ავტორიზებულ სერვის ცენტრს.
- თუ მოწყობილობის შიგნით მოხვდა სითხე ან უცხო საგნები, დაუყოვნებლივ გამორთეთ მტვერსასრუტი. შეამოწმეთ მოწყობილობა ხელახლა ჩართვამდე.
- დახშობის (გაჭედვის) შემოწმებამდე ან მის აღმოსაფხვრელად გამორთეთ მტვერსასრუტი.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა ხილული დაზიანებების აღმოჩენისას და დაუყოვნებლივ მიმართეთ ავტორიზებულ სერვის ცენტრს.